პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

სსიპ- **თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

ნინო ამირანაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი

ვარლამ ავალიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 203851545

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ 2018 წლის 27 აპრილს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი #484035) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოსაპოვებლად. 2018 წლის 2 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას გაუგზავნა ხარვეზის წერილი(ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 518232), რის პასუხადაც დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 611315).

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 ივნისის #535 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)
ბ) ვარლამ ავალიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
გ) ნინო ამირანაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და დადგენილ ვადაში წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 9,10, 11 ივლისს, შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი,ზუბალაშვილების ქ.N 47, ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. N 34.

ვიზიტის პირველ დღეს, შედგა შეხვედრა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია. მათ შორის მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები, რომელიც მატერიალური სახით ინახება პროგრამების განხორციელების ადგილზე. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტი ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დაურიგდათ ვიზიტის დაწყების წინ რამდენიმე დღით ადრე, ჯგუფს დოკუმენტები წინასწარ ჰქონდა შესწავლილი.ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლისა და იმ საკითხების დაზუსტების კუთხით, რომელთა მიმართ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

მოსაზრებები. აღნიშნულ კითხვებზე ექსპერტებმა მოისმინეს პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული თანამდებობის პირების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროგრამის ხელმძღვანელების, სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების განმარტებები. ამავე დღეს მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, შემთხვევითი შერჩევით შემოწმდა პროფესიული პოგრამების განხორციელებისათვის საჭირო ბიბლიოთეკის ფონდი. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში გაწეული მუშაობა პროგრამის განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

სამუშაო ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მოხდა სამედიცინო კაბინეტის დათვალიერება, შედგა გასაუბრება ექიმთან. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი სივრცე, ყიფშიძის ქ. N 34. შედგა გასაუბრება პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალთან.

განხორცილებული ვიზიტის მესამე დღეს შემოწმდა რეესტრი, შედგა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან.

საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს მოხდა გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და აკადემიის ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან, სადაც შეჯამდა სამი დღის მუშაობის შედეგები.

სსიპ -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2018 წლის 11 ივლისს.
ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

შევსებულია ავტორიზაციის ვიზიტისას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით

მდგომარეობა	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა**
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ცხრილში მითითებული მონაცემები არ ემთხვევა დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში მითითებულ მონაცემებს. თვითშეფასებაში მითითებული იყო პროგრამის განხორციელების ადგილი მხოლოდ ერთი მისამართი, თუმცა, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება ორ სხვადასხვა მისამართზე : ქ. თბილისი, ზუბალაშვილების ქ.N 47, და ქ. თბილისი ყიფშიძის ქ. N 34.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს საფასურის კორექტირებას საჭიროებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები,	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

	მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

	შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის	**მუხლი 7 /**	□	■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

	ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	□	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

	პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები ექსპერტთა შეფასებით ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „მხატვარ-ანიმატორი“და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია **„ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების ტესტის შედეგები“,** „მხატვარ-ანიმატორის“ (080252), „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ (080251), პროფესიული სტანდარტების დამატებითი მოთხოვნებში კი წერია, რომ „მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა **სრული ზოგადი განათლება“.** დაწესებულებას თვითნებურად აქვს დაწესებული დაშვების შეზღუდვა.

წარმოდგენილ პროგრამაში “მხატვარი-ანიმატორი“ სწავლოს შედეგების მიღწევის მეთოდებში პროგრამის სახელწოდება მოხსენილებულია როგორც მხატვარ-ანიმატორის დიზაინერის V საფეხური. ამავე დოკუმენტში, პუნქტში - ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ პროგრამის დასახელება მითითებულია, როგორც კომპიუტერული და კლასიკური ანიმაციის V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

სასწავლო კურსის სილაბუსებში არის იდენტური მიზნები და სწავლის შედეგები,გარკვეულ სილაბუსებში არაა წარმოდგენილი კურსის თემატიკა.

სასწავლო პროგრამაში დარღვეულია გარკვეულ კურსებზე დაშვების წინაპირობები.

სასწავლო კურსის სილაბუსში, სახელწოდებით „აქტიორული ხელოვნება 1“, ცოდის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ნაწილში მითითებულია, რომ „სტუდენტს შეუძლია შექმნას პერსონაჟი ანიმაციური ფილმისთვის. შეუძლია პერსონაჟების „გაცოცხლება ფურცელზე“, ხოლო სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „აქტიორულ ხელოვნება 2“ - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი „სტუდენტს შეუძლია შექმნას პერსონაჟი ანიმაციური ფილმისთვის“. ეს უნარები მასწავლებლისგან მოითხოვს ანიმაციის ცოდნას, ხოლო კურსის პედაგოგი პროფესიით არის დრამის რეჟისორი. სასწავლო კურსების „რეჟისურა 1“ ,“რეჟისურა 2-ს“ შედეგში მითითებულია, რომ დასრულების შემდეგ პირს „შეუძლია რეჟისურული თვალსაზრისით მიიღოს მონაწილეობა, ჯგუფთან ერთად, მოკლემეტრაჟიანი ფილმის, სარეკლამო ან მუსიკალური კლიპის, აგრეთვე ციფრული ანიმაციური ფილმის გადაღებაში“. თემატიკაში ამ უნარების განმავითარებელი თემები არსად ჩანს. ზემოთხსენებულ ნაწილში კურსების განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია არ შეესაბამება სასწავლო კურსების მოთხოვნას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებში, კომუნიკაციის უნარებში გაცხადებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ანგარიში წარადგინოს უცხო ენაზე. პროგრამებში არის უცხოური ენის ორი სასწავლო კურსი - „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“, ორივე სასწავლო კურსი ემსახურება ინგლისური ენის შესწავლას, სასწავლო კურსების შედეგები იდენტურია და გულისხმობს Elementary Course-ის გავლას. თემატიკაში არსადაა პროფესიული ტერმინოლოგია, სამუშაო პროცესის ამსახველი თემები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

სასწავლო კურსის სილაბუსებში სახელწოდებით „IT ტექნოლოგიები“„მარკეტინგის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფძვლები“ სასწავლო კურსის დონედ განსაზღვრულია **„საბაკალავრო**“,ასევე კურსის მიზანში მითითებულია რომ კურსი ბაკალავრს გამოუმუშავებს ამაა თუ იმ შედეგს.

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „ვიზუალური გამოსახულების დიზაინი 1“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინი 2“ შეფასების კრიტერიუმებში უფრო მაღალი კომპეტენცია ფასდება უფრო დაბალი ქულით.

წარმოდგენილ პროგრამებში ასევე ფიქსირდება შემდეგი გარემოებები: საწავლო კურსებში აღწერილი თემატიკით ვერ დასტურდება გაცხადებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „მხატვარ-ანიმატორი“, „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” სწავლის შედეგების რუქაზე მონიშნული ცოდნა, უნარები და ღირებულებები არ ემთხვევა პროგრამის შესაბამის სილაბუსებში მოცემულ სწავლის შედეგებს, კერძოდ;

2.მატერიალური რესურსი

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სრულად არ მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურას;

დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული გარემო.

3. ადამიანური რესურსი

სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული დასაქმებულის სტატუსი „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ შესაბამისად, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირთა ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი შესაბამისი მუხლი, რომ ისინი ახორციელებენ პროფესიულ პროგრამების სასწავლო კურსებს.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისათვის შექმნას სათანადო მანდატით აღჭურვილი სტრუქტურული ერთეული;
- ✓ რეკომენდებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები;
- ✓ კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დეტალურად გაიწეროს პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების პროცედურები;
- ✓ გასწორდეს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში, საგანმანათლებლო პროგრამებში, ხელშეკრულებებში ტექნიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები;
- ✓ სასწავლო კურსის სილაბუსებში კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის თემატიკა დაზუსტდეს და მოვიდეს თანხვედრაში ერთმანეთთან;
- ✓ ამოღებულ იქნას სილაბუსებიდან სიტყვა „საბაკალავრო“, „ბაკალავრს“;
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” დაშვების წინაპირობად „ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების ტესტის შედეგები“, გასწორდეს ჩანაწერი პროფესიული სტანდარტების („მხატვარ-ანიმატორის“ (080252), „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი”(080251) დამატებითი მოთხოვნების შესაბამისად: „მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება“;
- ✓ წარმოდგენილ პროგრამაში “მხატვარ-ანიმატორი“, პროგრამის არასწორად მოხსენიებული სახელწოდებები „მხატვარ-ანიმატორის დიზანერი“ და „კომპიუტერული და კლასიკური ანიმაციის V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა“ ჩანაცვლდეს პროგრამის მართებული სახელწოდებით;
- ✓ დაცულ იქნას სილაბუსის ფორმის შევსების ერთიანი მიდგომა და ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის თემატიკა;
- ✓ დაზუსტდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- ✓ გასწორდეს სილაბუსებში შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმები და ქულათა რანჟირება გახდეს სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგებისა და თემატიკის რელევანტური;
- ✓ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“ სასწავლო კურსები მოვიდეს თანხვედრაში პროგრამებში გაცხადებულ შედეგთან “უცხო ენაზე ანგარიშის მომზადება“ რაც საჭიროებს დარგობრივი ტერმინოლოგიისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული თემების შესწავლას;
- ✓ წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამებში არსებული შედეგების რუქა დაზუსტდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გაწერილი შედეგების შესაბამისად;
- ✓ სასურველია კატალოგი იქცეს ერთიან დოკუმენტად, სადაც სრულად იქნება თავმოყრილი ყველა სათანადო ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

- ✓ ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტია, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს(ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, სილაბუსის/მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;
- ✓ მარეგულირებელ დოკუმენტში დაზუსტდეს სტუდენტისა და პროფესიული სტუდენტის განმარტება და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს აკადემიურ და პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- ✓ მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მონაცემები აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე.
- ✓ მოხდეს სილაბუსების სწავლის შედეგებისა და თემატიკის თანხვედრა. შედეგები შეფასდეს რელევანტური კრიტერიუმებით და მეთოდებით.

2. მატერიალური რესურსი

- ✓ შეივსოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სიის შესაბამისად;ლიტერატურა , რომელიც წარმოადგენს მასწავლებლების პირად საკუთრებას, დაქსეროქსდეს და ქსეროსლები დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

3. ადამიანური რესურსი

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს დასაქმებულის სტატუსი, განსახორციელებელი სასწავლო კურსის/კურსების დასახელება, კანონი პროფესიული განათლების შესახებ ცნობს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის სტატუსს, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ პირებთან სწორედ ამ სტატუსით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

VII. დაწესებულების მისია

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისიაა: საზოგადოებაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, სახელოვნებო/შემოქმედებითი და სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების განვითარება სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედიახელოვნების, არქიტექტურის, რესტავრაცია/აკონსერვაციისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგებში.

ღირებულებები

სამხატვრო აკადემიის ღირებულებები ეფუძნება შემოქმედებითი და აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და მიზნად ისახავს ეროვნული კულტურის ტრადიციების დაცვას, გენერირებას და განვითარებას საზოგადოებრივი კეთილდღეობის და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ხედვა

თსსა 2024 წლისთვის იქნება ეროვნული კულტურის ფასეულობებზე, ხელოვნებისა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული წამყვანი სახელოვნებო უნივერსიტეტი რეგიონში, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება დამყარებული საერთაშორისო პარტნიორებთან და ყოველმხრივ გაუწევს პოპულარიზაციას ქართულ კულტურას.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი იქნა ორი პროფესიული პროგრამა: „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ (აქტი 27 ივნისი 2011 ოქმი #8)

პროგრამებში განსაზღვრულია: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში; პროგრამის ხანგრძლივობა; სწავლების ენა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; დასაქმების და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი; სასწავლო გეგმა; სწავლის შედეგები; სასწავლო კურსების განაწილება კრედიტების და საათების მიხედვით; სასწავლო კურსების განაწილება (კვირეული); პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა); სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების რუქა; შეფასების სისტემა; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ; პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ვინაობა.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მხატვარ-ანიმატორი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია „ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების ტესტის შედეგები“, „მხატვარ-ანიმატორის“ (080252) პროფესიული სტანდარტის დამატებითი მოთხოვნებში კი წერია, რომ „მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება“. დაწესებულებას თვითნებურად აქვს დაწესებული დაშვების შეზღუდვა.

წარმოდგენილ პროგრამაში “მხატვარი-ანიმატორი“ სწავლოს შედეგების მიღწევის მეთოდებში პროგრამის სახელწოდება მოხსენიებულია როგორც მხატვარ-ანიმატორის დიზაინერის V საფეხური. ამავე დოკუმენტში, პუნქტში - ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ პროგრამის დასახელება მითითებულია, როგორც კომპიუტერული და კლასიკური ანიმაციის V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენლ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მხატვარ-ანიმატორი“, სწავლის შედეგების ნაწილში არის შემდეგი ჩანაწერი: “ფლობს მოცემული პერსონაჟის ან ცნობილი მხატვრის ცნობილი პერსონაჟის გაცოცხლების ტექნიკას“. მიგვაჩნია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ პირი უნდა ფლობდეს ზოგადად ანიმაციური პერსონაჟის გაცოცხლების ტექნიკას, მნიშვნელობა არა აქვს ცნობილი იქნება თუ არა ეს პერსონაჟი თუ არა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში სახელწოდებით „ხატვა 1“ და „ხატვა 2“ სწავლის შედეგები იდენტურია.

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „კომპოზიცია ამოხატვა 2“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს სილაბუსს „კომპოზიცია ამოხატვა 1“. იდენტურია აბსოლუტურად ყველაფერი, მექანიკური შეცდომებიც კი. ორივე სილაბუსს აკლია დანართი 1, რომელშიც სხვა სილაბუსებში თემატიკაა წარმოდგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

სასწავლო კურსების სილაბუსები სახელწოდებით „ძერწვა 1“ და „ძერწვა 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, შინაარსი. აკლია თემატიკის ნაწილი.

სასწავლო კურსების სილაბუსებში სახელწოდებით „მხატვრული ანიმაცია 1“ და „მხატვრული ანიმაცია 2“ იდენტურია სწავლის შედეგები, სილაბუსებში არაა თემატიკის ნაწილი. თემატიკის ნაწილი აკლია ასევე „მხატვრული ანიმაცია 3“ და „მხატვრული ანიმაცია 4“ სილაბუსებსაც.

სასწავლო კურსების სილაბუსში სახელწოდებით „ვიდეო მონტაჟი I (Adobe Premiere)“ და „ ვიდეო მონტაჟი II (Adobe Premiere)“ იდენტურია სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები, კურსზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, შინაარსი. განსხვავებულია მხოლოდ თემატიკის ნაწილი.

სასწავლო კურსის „კომპიუტერული გრაფიკა 4- Adobe photoshop“: სილაბუსის მიხედვით, ამ კურსის შესასწავლად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს კომპოზიციის კურსი. თუ იგულისხმება პროგრამით გათვალისწინებული „კომპოზიცია ამოხატვა1“ და „კომპოზიცია ამოხატვა 2“, ისინი სასწავლო გეგმაში „კომპიუტერული გრაფიკა 4- Adobe photoshop-ის პარალელურად ხორციელდება, ანუ დარღვეულია დაშვების წინაპირობა.

სასწავლო კურსების სილაბუსები სახელწოდებით „სპეცხატვა 1“, „სპეცხატვა 2“, „სპეცხატვა 3“ და „სპეცხატვა 4“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, აკლია თემატიკის ნაწილი.

სასწავლო კურსის სილაბუსში „სპეცხატვა 1“ დაშვების წინაპირობაა ხატვის უნარები, თუმცა ხატვა 1 და „ სპეცხატვა 1“ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს.“ ხატვა 2“ კი მიმდინარეობს „სპეცხატვა 2“-ის პარალელურად, რომლის წინაპირობას „სპეცხატვა 1“ წარმოადგენს. აქაც დარღვეულია დაშვების წინაპირობა.

სასწავლო კურსის სილაბუსის ფაილები „ლეიაუთი-კინოკადრის მაკეტირება 1“ და „ლეიაუთი-კინოკადრის მაკეტირება 2“ წარმოადგენს სრულიად იდენტური სათაურის, შინაარსისა მქონე დოკუმენტს. რომლებშიც განსხვავებულია მხოლოდ დავალების ნაწილი:„ლეიაუთი-კინოკადრის მაკეტირება 1“ სასწავლო კურსის მიხედვით სტუდენტს სემესტრის განმავლობაში ეძლევა სამი დავალება:

1. ნაცარქექია (დევისა და ნაცარქექიას შეხვედრის ეპიზოდი)
2. დევის სახლის და გარემოს ეპიზოდი

ნაცარქექია და ბუხარი

„ლეიაუთი-კინოკადრის მაკეტირება 2“ სასწავლო კურსის მიხედვით სტუდენტს სემესტრის განმავლობაში ეძლევა სამი დავალება:

3. სულხან-საბას იგავ-არაკების მიხედვით
4. ანდაზებით ეპიზოდის შექმნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

თავისუფალი თემა

სილაბუსებში არ არის თემატიკის ნაწილი.

სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „აქტიორული ხელოვნება 1“ ცოდის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ნაწილში მითითებულია, რომ „სტუდენტს შეუძლია შექმნას პერსონაჟი ანიმაციური ფილმისთვის. შეუძლია პერსონაჟების „გაცოცხლება ფურცელზე“, ხოლო სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „აქტიორულ ხელოვნება 2“ - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი „სტუდენტს შეუძლია შექმნას პერსონაჟი ანიმაციური ფილმისთვის“. ეს უნარები მასწავლებლისგან მოითხოვს ანიმაციის ცოდნას, ხოლო კურსის პედაგოგი პროფესიით არის დრამის რეჟისორი. ზემოთხსენებულ ნაწილში მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება სასწავლო კურსის მოთხოვნას.

სასწავლო კურსის „რეჟისურა 1“ დაშვების წინაპირობაა „კომპიუტერული ტექნიკის ცოდნის საერთო დონის კომპეტენცია, რეჟისურის კურსისა და კინემატოგრაფიული მასალების მოსაპოვებლად“, იგივე დაშვების წინაპირობა აქვს “რეჟისურა 2-ს“ . ასევე იდენტურია ამ სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები. 80% იდენტურია თემატიკა.

ორივე სასწავლო კურსის შედეგში მითითებულია, რომ დასრულების შემდეგ პირს „შეუძლია რეჟისურული თვალსაზრისით მიიღოს მონაწილეობა, ჯგუფთან ერთად, მოკლემეტრაჟიანი ფილმის, სარეკლამო ან მუსიკალური კლიპის, აგრეთვე ციფრული ანიმაციური ფილმის გადაღებაში“. თემატიკაში ამ უნარების განმავითარებელი თემები არსად ჩანს. სასწავლო კურსებს ახორციელებს გიორგი აფხაზავა, რომელიც არის დრამის რეჟსორი და არ ფლობს ანიმაციის რეჟისორის კვალიფიკაციას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვარ-ანიმატორი“ შედეგებში, კომუნიკაციის უნარებში გაცხადებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ანგარიში წარადგინოს უცხო ენაზე. პროგრამაში არის უცხოური ენის ორი სასწავლო კურსი - „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“, ორივე სასწავლო კურსი ემსახურება ინგლისური ენის შესწავლას, სასწავლო კურსების შედეგები იდენტურია და გულისხმობს Elementary Course-ის გავლას. თემატიკაში არსადაა ანიმაციური ტერმინოლოგია, ფილმწარმოების პროცესის ამსახველი თემები და სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „IT ტექნოლოგიები“ სასწავლო კურსის დონედ განსაზღვრულია **„საბაკალავრო**“, ხოლო დაშვების პირობა „ზოგადი უნარები“ აქვე მითითებულია, რომ კურსის მიზანია:

- ✓ **ბაკალავრს** გააცნოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები;
- ✓ საფუძველი ჩაუყაროს **ბაკალავრის** ცოდნის იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელსაც სწავლის შემდგომ ეტაპზე გამოიყენებს სხვადასხვა დისციპლინებში საკურსო დავალებების შესასრულებლად;

სასწავლო კურსების სილაბუსებში სახელწოდებით „მარკეტინგის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფძვლები“ სასწავლო კურსის დონედ განსაზღვრულია **„საბაკალავრო “.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია „ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების ტესტის შედეგები, ხოლო „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის“ (080251) პროფესიული სტანდარტის დამატებითი მოთხოვნებში კი წერია, რომ „მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება“.

სასწავლო კურსების სილაბუსებში სახელწოდებით „ხატვა 1“ და „ხატვა 2“ სწავლის შედეგები იდენტურია.

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „კომპოზიციის საფუძვლები 1“ და „კომპოზიციის საფუძვლები 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „აკადემიური შრიფტი 1“ და „აკადემიური შრიფტი 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „ორნამენტი 1“ და „ორნამენტი 2“ იდენტურია სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „შეფუთვის დიზაინი 1“ და „შეფუთვის დიზაინი 2“ იდენტურია სწავლის შედეგები; ასევე, შედეგებში გაცხადებულია შემდეგი: “ცოდნა და გაცნობიერება: განვლილი კურსის შედეგად **ბაკალავრს** შეუძლია მარტივი მაკეტების შესრულება“;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „მაკეტის შექმნა 1“ და „მაკეტის შექმნა 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „ვიზუალური გამოსახულების დიზაინი 1“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინი 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები;

ორივე სულაბუსის შეფასების კრიტერიუმებში:

1. **ინფორმაციის მოპოვებისა და გადამუშავების უნარი ფასდება 5 ქულით. აქედან:**

2 ქულა სტუდენტი არ ფლობს ინფორმაციის მოძიებისა და გამოყენების საშუალებებს,ვერ იყენებს წყაროებს.

1 ქულა სტუდენტი ავლენს ინფორმაციის წყაროების გამოყენების მინიმალურ უნარს.

2. **კრეატიულობა ფასდება 10 ქულით. აქედან:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

3-4 ქულა მოცემულობის შესრულების პროცესში სტუდენტმა ვერ ან არ გამოავლინა თავისი კრეატიული უნარი

1-2 ქულა მოცემულობის შესრულებისა სტუდენტმა მინიმალურ დონეზე გამოიყენა თავისი კრეატიული პოტენციალი.

3. **მოცემულობის მხატვრული შესრულება ფასდება 5 ქულით. აქედან:**

2 ქულა. სტუდენტი ვერ ან არ იყენებს გრაფიკიდსა და ფერწერის შწავლის დროს ათვისებულ უნარჩვევებს.

1 ქულა. სტუდენტი ავლენს ფერის და გრაფიკის უნარების მინიმალურ ცოდნას.

დასკვნით გამოცდას დათმობილი აქვს სამი კვირა.

მაღალი კომპეტენცია უფრო ფასდება დაბალი ქულით.

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „კომპიუტერული გრაფიკა 1“ ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ვკითხულობთ: „კურსის შესწავლის შემდეგ, **ბაკალავრს** შეუძლია ვექტორულ გრაფიკულ პროგრამებში, კერძოდ - Corel DRAW პრაქტიკული მუშაობა“

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „საგამომცემლო საქმე 1“ და „საგამომცემლო საქმე 2“ სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „პოლიგრაფია 1“ და „პოლიგრაფია 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები;

სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „მარკეტინგის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფძვლები“ სასწავლო კურსის დონედ განსაზღვრულია „საბაკალავრო“.

სასწავლო კურსის სილაბუსი სახელწოდებით „გამოყენებითი ფოტოგრაფია 1“ და „გამოყენებითი ფოტოგრაფია 2“ იდენტურია კურსის მიზანი, სწავლის შედეგები. განსხვავებულია სწავლის შედეგებში მხოლოდ ერთი სიტყვა .

„გამოყენებითი ფოტოგრაფია 2“-ის მიხედვით: „**ბაკალავრს** შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” შედეგებში, კომუნიკაციის უნარებში გაცხადებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ანგარიში წარადგინოს უცხო ენაზე. პროგრამაში არის უცხოური ენის ორი სასწავლო კურსი: „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“ , ორივე სასწავლო კურსი ემსახურება ინგლისური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

ენის შესწავლას, სასწავლო კურსების შედეგები იდენტურია და გულისხმობს Elementary Course-ის გავლას. თემატიკაში არსადაა ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის პროფესიული ტერმინოლოგია, პროცესის ამსახველი თემები და სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდებით „IT ტექნოლოგიები“ სასწავლო კურსის დონედ განსაზღვრულია „**საბაკალავრო,“** ხოლო დაშვების წინაპირობაა „ზოგადი უნარები“ აქვე მითითებულია, რომ კურსის მიზანია:

- ✓ **ბაკალავრს** გააცნოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები;
- ✓ საფუძველი ჩაუყაროს **ბაკალავრის** ცოდნის იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელსაც სწავლის შემდგომ ეტაპზე გამოიყენებს სხვადასხვა დისციპლინებში საკურსო დავალებების შესასრულებლად.

წარმოდგენილ პროგრამებში ასევე ფიქსირდება შემდეგი გარემოებები: საწავლო კურსებში აღწერილი თემატიკით ვერ დასტურდება გაცხადებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. მაგალითად:

- სასწავლო კურსის „კომპიუტერული გრაფიკა 1 – CorelDRAW“ სილაბუსის სწავლის შედეგებში, დასკვნის უნარის ნაწილში მითითებულია, რომ კურსის გავლის შემდეგ პროფესიულ სტუდენტს **„აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი“, თუმცა სილაბუსში გაწერილი თემები არ მოიცავს მსგავს თემატიკას.**

-სასწავლო კურსის „კომპოზიციის საფუძვლები 1“ სილაბუსის სწავლის შედეგებში, კომუნიკაციის უნარის ნაწილში მითითებულია, რომ კურსის გავლის შემდეგ პროფესიული სტუდენტი **„იცნობს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სავალდებულო ტექნიკურ და ეთიკურ ნორმებს, შემოქმედის და მოქალაქის უფლება მოვალეობებს“, თუმცა სილაბუსში გაწერილი თემები არ მოიცავს მსგავს თემატიკას.**

-სასწავლო კურსის „საგამომცემლო საქმე I“ სილაბუსის სწავლის შედეგების კომუნიკაციის ნაწილში მითითებულია, რომ კურსის გავლის შემდეგ პირს გააჩნია „მოტივაციის უნარი, გამოირჩევა მაღალი კომუნიკაბელობით, შეუძლია ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის მეთოდების გამოყენება“ ასევე, „დასკვნის უნარის“ ნაწილში **„სტუდენტი აცნობიერებს, რომ მაღალი დონის სპეციალისტის სახელის მოსახვეჭად სწავლის სრულყოფაა საჭირო“,** თუმცა სილაბუსში გაწერილი თემები, შინაარსიდან გამომდინარე, არ მოიცავს მსგავს თემატიკას. და ვერც შეფასების სისტემა იძლევა ამ კომპეტენციების შეფასების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” სწავლის შედეგების რუქაზე მონიშნული ცოდნა, უნარები და ღირებულებები არ ემთხვევა პროგრამის შესაბამის სილაბუსებში მოცემულ სწავლის შედეგებს, კერძოდ:

1. სილაბუსებში „ხატვა“, „კომპოზიციის საფუძვლები“ –სწავლის შედეგები: „დასკვნის უნარი“, „კომუნიკაციის უნარი“ და „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე;

2. სილაბუსებში „აკადემიური შრიფტი“ „მხატვრული შრიფტი“ „ორნამენტი“ – სწავლის შედეგები: „კომუნიკაციის უნარი“, „სწავლის უნარი“ და „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე;

3. სილაბუსში „საპროექტო გრაფიკა“ „შეფუთვის დიზაინერი“ „მაკეტის შექმნა“, „ვიზუალური გამოსახულების დიზაინი“ „საგამომცემლო საქმე“,„პოლიგრაფია“ – სწავლის შედეგი „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამაში;

4. სილაბუსში „ინგლისური ენა“ –სწავლის შედეგები: „დასკვნის უნარი“, და „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამაში;

ანალოგიური სიტუაციაა პროგრამაში „მხატვარ-ანიმატორი“, სადაც:

1. სილაბუსებში „ლეიაუტი 1 - კინოკადრის მაკეტირება“, სპეცხატვა 1“, „ძერწვა 2“,„ინგლისური ენა“ – სწავლის შედეგები: „დასკვნის უნარი“ , „კომუნიკაციის უნარი“, და „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე.
2. სილაბუსში „მუსიკალური ხელოვნება“– სწავლის შედეგები: „დასკვნის უნარი“ , „კომუნიკაციის უნარი“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე.
3. სილაბუსებში “რეჟისურა1“ , “რეჟისურა2“ სწავლის შედეგი: „ღირებულებები“ მითითებულია შესაბამის სილაბუსში და არ არის მონიშნული პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე.

ვიზიტის ფარგლებში შედგა ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება. სტუდენტები ერთხმად აღნიშნავენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილებას. მათი მოტივაცია საკმაოდ მაღალია. გამოითქვა სურვილი, რომ პროგრამას მოემატოს პრაქტიკული კომპონენტი. ისინი ხედავენ საკუთარი დასაქმების პერსპექტივას. ერთი სტუდენტი, ყოველდღიურად საგარეჯოდან დადის სასწავლებელში და პარალელურად არის ბაკალავრიატის სტუდენტიც. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა ისიც, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სწავლებისათვის აუცილებელი სახარჯი მასალებით. მასწავლებლები იმ ლიტერატურას, რომელიც არ მოიპოვება ბიბლიოთეკაში და ვერც სხვაგან ვერ ახერხებენ მოძიებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

ქსეროასლების სახით ურიგებენ სტუდენტებს და უმზადებენ საკითხავ მასალას. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ დაწესებულება გეგმავს, შექმნას პროფესიული სწავლებისათვის შესაფერისი პლატფორმა. გაგვიზიარეს სურვილი, რომ პროფესიული საგანმანათებლო პროცესისათვის მოეწყოს ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე შენობა, მოხდეს მისი სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა. აპირებენ სამომავლოდ პროფესიული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება/დანერგვას.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

N	**პროგრამის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**

დასტურდება :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზულური გამოსახულების დიზაინერი“
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისათვის შექმნას სათანადო მანდატით აღჭურვილი სტრუქტურული ერთეული;

- ✓ რეკომენდებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები;
- ✓ კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დეტალურად გაიწეროს პროგრამების შემუშავების და დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების პროცედურები;
- ✓ გასწორდეს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში, საგანმანათლებლო პროგრამებში, ხელშეკრულებებში ტექნიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები;
- ✓ სასწავლო კურსის სილაბუსებში კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის თემატიკა დაზუსტდეს და მოვიდეს თანხვედრაში ერთმანეთთან;
- ✓ ამოღებულ იქნას სილაბუსებიდან სიტყვა „საბაკალავრო“, „ბაკალავრს“;
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი” დაშვების წინაპირობად „ერთიან ეროვნულ გამოცდებში ზოგადი უნარების ტესტის შედეგები“, გასწორდეს ჩანაწერი პროფესიული სტანდარტების („მხატვარ-ანიმატორის“ (080252), „„ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი”(080251) დამატებითი მოთხოვნების შესაბამისად: „მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება“;
- ✓ წარმოდგენილ პროგრამაში “მხატვარ-ანიმატორი“, პროგრამის არასწორად მოხსენიებული სახელწოდებები „მხატვარ-ანიმატორის დიზანერი“ და „კომპიუტერული და კლასიკური ანიმაციის V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა“ ჩანაცვლდეს პროგრამის მართებული სახელწოდებით;
- ✓ დაცულ იქნას სილაბუსის ფორმის შევსების ერთიანი მიდგომა და ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის თემატიკა;
- ✓ დაზუსტდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- ✓ გასწორდეს სილაბუსებში შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმები და ქულათა რანჟირება გახდეს სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგებისა და თემატიკის რელევანტური;
- ✓ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი უცხო ენა 1 და უცხო ენა 2 სასწავლო კურსები მოვიდეს თანხვედრაში პროგრამებში გაცხადებულ შედეგთან, “უცხო ენაზე ანგარიშის მომზადება“, რაც საჭიროებს დარგობრივი ტერმინოლოგიისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული თემების შესწავლას.
- ✓ წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამებში არსებული შედეგების რუქა დაზუსტდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გაწერილი შედეგების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. მონაცემები პროფესიული პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე, რუბრიკაში - სწავლა, სადაც მითითებულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის, კრედიტების რაოდენობის, პროგრამის ხანგრძლივობის, სწავლების ენისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ). მედიახელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში კი განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრული აღწერა და სასწავლო გეგმები(სადაც მოცემულია სასწავლო კურსების ჩამონათვალიც).

კატალოგი ფორმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება:

- მედიახელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) http://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=2-3-x6-5

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

✓ სასურველია კატალოგი იქცეს ერთიან დოკუმენტად, სადაც სრულად იქნება თავმოყრილი ყველა სათანადო ინფორმაცია;

✓ ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტია, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს(ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, სილაბუსის/მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების- „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული სტანდარტებს.

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით- „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“;
- პროფესიული სტანდარტებით:„მხატვარ-ანიმატორი“(080252) და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“(080251);
- http://eqe.ge/geo/standards/show/298/
- http://eqe.ge/geo/standards/show/296/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებებას შემუშავებული აქვს სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების რეგულაციები, რომლებიც განკუთვნილია როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.

დასტურდება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

- „სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1;23/03/2018)ამავე საბჭოს მიერ დამტკიცებული ცვლილებები: (ოქმი N5: 21/06/2018)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია :

✓ სასურველია, მარეგულირებელ დოკუმენტში დაზუსტდეს სტუდენტისა და პროფესიული სტუდენტის განმარტება და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს აკადემიურ და პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია „სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში”, რომელიც განკუთვნილია როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. წესში გაწერილია რა შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი, გაწერილია თუ როგორ უნდა მოხდეს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტების სწავლის გაგრძლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა და შეცვლილი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება.აკადემია იღებს ვალდებულებას სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

- „სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1;23/03/2018)ამავე საბჭოს მიერ დამტკიცებული ცვლილებები: (ოქმი N5: 21/06/2018)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

✓ სასურველია, დაზუსტდეს გაუქმებულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები. კონკრეტულად, „სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 19, პუნქტი 19.4 გულისხმობს გაუქმებულ პროგრამაზე მილევად რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. გაუქმებულ პროგრამაზე სტუდენტი სწავლას ვერ გააგრძელებს, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა შიდა ან გარე მობილობით სხვა პროგრამაზე.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსა შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. შეფასების პროცესში ჩართული არიან ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები. დაწესებულებას აქვს ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტების გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებელ პირთა და პროგრამების შეფასების მიზნით.ტარდება სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, რომლის შედეგები ანალიზისათვის გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. აღნიშნული სისტემა დანერგილია უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზეც.

დაწესებულებაში ასევე შემუშავებულია პროფესიული განათლების პროგრამების, სილაბუსების შეფასების ფორმები.

ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დასკვნები(ანგარიშები).

ინტერვიუს დროს გამოვლინდა , რომ სტუდენტები მონაწილეობენ პროგრამის კვლევაში. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა, აღნიშნული ცვლილების საჭიროება ასევე ასახულია თვითშეფასების დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

მიუხედავად ამ სისტემების არსებობისა, პროგრამებში 2011 წლიდან დღემდე არსებითი ცვლილებები არ არის შეტანილი.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით;
- თსსა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება
- თსსა პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანკეტა-კითხვარი, დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 24 ივნისს, სხდომის ოქმი #006
- თსსა რექტორის 2010 წლის 24 ივნისის #086 ს/ხ ბრძანება "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების განხორციელების თაობაზე"
- პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- ✓ მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მონაცემები აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე.
- ✓ მოხდეს სილაბუსების სწავლის შედეგებისა და თემატიკის თანხვედრა. შედეგები შეფასდეს რელევანტური კრიტერიუმებით და მეთოდებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სხვადასხვა მისამართზე: ყიფშიძის ქ.N 34., გრიბოედოვის ქ.N 22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

	მისამართი	**კვ.მ.**
	ისტორიული შენობა გრიბოედოვის ქ.N 22	6921კვ.მ
	შენობა ყიფშიძის ქ. N 34	2055.7კვ.მ

დაწესებულებამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ცხრილები, რომელთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო ფართი ეფექტურად არის განაწილებული პროფესიულ და აკადემიურ საფეხურებს შორის და ზემოთ აღნიშნული პროფესიული პროგრამების განხორციელება დაწესებულებას არ უქმნის დაბრკოლებას აკადემიური პროგრამების განხორციელების დროს. ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ ლექციები და სემინარები უტარდებათ აკადემიური საფეხურის სტუდენტებისგან იზოლირებულად და სასწავლო პროცესის განმავლობაში ცხრილებს შორის გადაფარვებს ადგილი არ ჰქონია.

დასტურდება:

1. ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან და შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზებით;
2. ადგილზე დათვალიერებით;
3. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით;
4. სასწავლო ცხრილებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აუდიტორიები, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი აღჭურვილია სასწავლო კურსებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, რომლებიც უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შესაბამისი პროგრამული პაკეტებით. მხატვარ- ანიმატორებისათვის არის ინდივიდუალური პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

მაგიდები. სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოიყენონ თავისუფალი სამუშაო სივრცე.სურვილისამებრ „ფაბლაბში“ განახორციელონ საკუთარი ჩანაფიქრები. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტუდა რომ შეუფერხებლად ხდება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი ინვენტარით და სახარჯი მასალებით.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით და შესაბამისი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ინვენტარისა და სახარჯი მასალების შესყიდვა ხდება ფაკულტეტების მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნაში კი გათვალისწინებულია როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებები.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან/პროგრამების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუებით;
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები,სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკას წვდომა აქვს Elsevier-ის ScienceDirect-ის და Scopus-ის ბაზებზე. საძიებო სისტემა განთავსებულია სასწავლებლის ვებგვერდზე (http://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=48), რაც იძლევა სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სასწავლო რესურებთან თავისუფალი წვდომის საშუალებას.

ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია კატალოგში, **ბიბლიოთეკა ჩართულია** OpenBiblio-ს ქსელში. მოქმედებს მკითხველის ბარათები, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ვიზიტის დროს შემთხევითი შერჩევის წესით შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მხატვარ-ანიმატორი“ და“ ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა დაწესებულების ბიბლიოთეკაში. შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი: მითითებული ლიტერატურის გარკვეული ნაწილი ბიბლიოთეკაში იყო წარმოდგენილი, თუმცა არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით, ვინაიდან წარმოადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებლების პირად საკუთრებას.

საგანმანათლებლო პროგრამების „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“ , სილაბუსებში მითითებული გარკვეული წიგნების ბიბლიოთეკაში არსებობა/ფლობა არ დადასტურდა(**„ფოტოჟურნალისტიკა: პროფესიული მიდგომა“** - კენეტ კოუბრე. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა Elsevier Inc. 2004. ქართული გამოცემა 2005 წელს; **„ფოტოხელოვნება: სრული კურსი - Popular Photography“** - გამომცემლობა Weldon Owen Inc. ქართული გამოცემა 2014 წელს, გამომცემლობა პალიტრა L-ის მიერ;The Europian animation industry **"Layout"** Europian International Artcorporation. Layout. London. 2001;**Adobe Premiere Pro CC 2017 Bible, Adele Droblas** ;”**Animation Kit”-Richard Williams**.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ხელშეკრულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით;
- ვებ გვერდით ((http://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=48))
  წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცით;
- https://www.sciencedirect.comhttps://lib.bsu.edu.ge/index.php?action=5
- ww.scopus.com/home.uri

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- ✓ შეივსოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მხატვარ-ანიმატორი“ და „ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი“სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სიის შესაბამისად;
- ✓ ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლების პირად საკუთრებას, დაქსეროქსდეს და ქსეროსლები დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

- ხელშეკრულებით ინტერნეტ პროვაიდერთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. შემუშავებულია საქმისწარმოების წესი. შემოსული და გასული წერილები, ბრძნებები აღირიცხება eFlow სისტემაში. ამას გარდა დაწესებულებას აქვს შიდა ელექტრონული სისტემა, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა. სტუდენტების აღრიცხვა.

ხელშეკრულებების აღირცხვა ხდება ელექტრონულად, ექსელის ბაზაში.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგიადალას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტებისა და პერსონალის სახანძრო უსაფრთხოება აკადემიის ყველა კორპუსში უზრუნველყოფილია პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრები), შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

გეგმები, რომლებიც შეასრულა უფლებამოსილმა კომპანიამ. შენობებში არსებობს დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები. თსსა აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი გრიბოედოვის ქ. N 22 მდებარე კორპუსში. კაბინეტს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავდება ბუნებრივი გზით. სამედიცინო კაბინეტში მუშაობს ერთი ექიმი. აკადემიის ყიფშიძის ქ. N 34 კორპუსში არის თანამშრომელი, რომელსაც გავლილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი, აქვს შესაბამისი სერტიფიკატი. არის პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მასალა და ინვეტარი.

აკადემიის კორპუსების ფიზიკურ დაცვას, უწყვეტად დღე-ღამის განმავლობაში ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ თსსა-ს დაცვის თანამშრომლები.

შენობებში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

ქვესტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაშიც.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- შრომის ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული გარემო. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თსსა დაგეგმილი აქვს ყველა კორპუსში განსახორციელებელი ღონისძიებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემოს ეტაპობრივად შესაქმნელად. გრიბოედოვის ქ. N 22 მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტი ითვალისწინებს შენობის სრულ ადაპტირებს აღნიშნული თვალსაზრისით. სანიტარული კვანძების ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებისთვის ეტაპობრივად განხორციელდება თსსა ყველა კორპუსში.

ამჟამად მზადაა პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია, უახლოეს მომავალში გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი ყიფშიძის ქ. N 34 მდებარე კორპუსში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს, კერძოდ, პანდუსების და სპეციალური სანიტარული კვანძის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

მოსაწყობად. სამოქმედო გეგმის თანახმად ადაპტირებული სანიტარული კვანძების მოწყობა დასრულდება 2019 წლის ბოლოს.

დასტურდება:

- თსსა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 23.03.18, ოქმი N 1
- თსსა სამწლიანი სამოქმედო გეგმა,დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 23.03.18, ოქმი N 1
- ადაპტირებული გარემოს, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პროექტები

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი ორენოვანია (ქართული, ინგლისური). ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი განათლებით დაინტერესებული პირებისთვის. მასზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები,სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამები, პროგრამების კატალოგი. განახლებადი ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე კონკურსების, პროექტების, კონფერეციების, თუ სხვა სიახლეების შესახებ. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ფოტო-გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება:

- თსსა ვებგვერდი :www.art.edu.ge

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებაში მისი სტატუსის შესაბამისად შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) და სამოქმედო გეგმა (2018-2020), რომლებიც განთავსებულია ვებგვერდზეც. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შესაძლებლობები.

დასტურდება:

- თსსა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 23.03.18, ოქმი N 1
- თსსა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 23.03.18, ოქმი N 1

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულების მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოზე აყვანის პირობები განსაზღვრულია კონკრეტული პოციზიებისთვის.

დასტურდება:

- *სტრუქტურა - 3.1. დანართი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
{თბილისი 2018 წელი}

- *პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები - 3.4. დანართი*
- *პირადი საქმეები*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ.

პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვაში გამიჯნულია უმაღლესი და პროფესიული საფეხური. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალის დატვირთვა პროფესიულ საფეხურზე არ უქმნის საფრთხეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

დასტურდება:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი - 3.3. დანართი
- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის შესახებ შევსებული ინფორმაციის მოწოდების ფორმა (დანართი 1) - იხ. დანართი 1.1 პროგრამები
- პროგრამის განმახორციელებლ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურეობის ხელშეკრულებები და მათი რეზიუმეები (CV) - იხ. 1.10 და 1.11 დანართი
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადე

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს დასაქმებულის სტატუსი, განსახორციელებელი სასწავლო კურსის დასახელება,

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამების განმახორციელებელ პირებთან დადებულია ძირითადად იდენტური ფორმისა და შინაარსის შრომითი ხელშეკრულებები. სადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების დიდ ნაწილში არ არის დაზუსტებული რომელ სასწავლო კურს ახორციელებს პირი, თავად ხელშეკრულებები კი გაფორმებულია სასწავლებლის აკადემიურ პერსონალთან, ან მოწვეულ პედაგოგებთან. აღნიშნული ხელშეკრულებებით პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი არც ერთ პროგრამის განმახორციელებელ პირს არ უფიქსირდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- ✓ კანონი პროფესიული განათლების შესახებ ცნობს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის სტატუსს, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ პირებთან სწორედ ამ სტატუსით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები.ასევე, სასურველია დაკონკრეტდეს, თუ რომელი პროგრამის რა კომპონენტი უნდა განახორციელოს კონკრეტულად პროფესიულმა მასწავლებელმა

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამების ათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა აქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
	ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი	V	ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080251	120	120	ქართული	თბილისი, ყიფშიძის ქ.N34	16 - აქტიური 13- შეჩერებული	20
	მხატვარ-ანიმატორი	V	მხატვარ-ანიმატორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080252	120	120	ქართული	თბილისი, ყიფშიძის ქ.N34	17- აქტიური, 9- შეჩერებული	20



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}

IX. თანდართული დოკუმენტაცია

09.08.2018
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018 წელი}